

**2022 წლის ფინანსური ანგარიშგება**

**შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC**

## სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----3

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----6-15

**შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC ფინანსური მდგომარეობის  
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                   | <b>შენიშვნები</b> | <b>31/12/2022</b>     | <b>31/12/2021</b>     |
|------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-----------------------|-----------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                          | 1                 | 719556                | 386214                |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                     | 2                 | 146911                | 139559                |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული<br>ფულადი სახსრები                                 | 3                 | 266330                | 171364                |
| <u>მარაგები</u>                                                                                | -                 | 294365                | 192483                |
| სხვა                                                                                           |                   | 294365                | 192483                |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                     |                   | 2053                  | 2053                  |
| ძირითადი საშუალებები                                                                           | 4                 | 1679763               | 1608642               |
| <b><u>სულ აქტივები</u></b>                                                                     | -                 | <b><u>3108978</u></b> | <b><u>2500315</u></b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                           |                   |                       |                       |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                          |                   | 201494                | 126302                |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                     |                   | 69371                 | 101232                |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                                |                   | 126724                | 130039                |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                                |                   | 174244                | 403300                |
| სხვა ვალდებულებები                                                                             |                   |                       |                       |
| <b><u>სულ ვალდებულებები</u></b>                                                                | -                 | <b><u>571833</u></b>  | <b><u>760873</u></b>  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                       |                   |                       |                       |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',<br>კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |                   | 116000                | 116000                |
| საემისიო შემოსავალი                                                                            |                   |                       | 0                     |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                   |                   |                       | 0                     |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                      |                   | 2421145               | 1623442               |
| გადაფასების რეზერვი                                                                            |                   |                       | 0                     |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                           |                   |                       | 0                     |
| <b><u>სულ საკუთარი კაპიტალი</u></b>                                                            | -                 | <b><u>2537145</u></b> | <b><u>1739442</u></b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                                  |                   | <b>3108978</b>        | <b>2500315</b>        |

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

**შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC საქმიანობის შედეგები  
2022 წლის 31 დეკემბრისათვის**

| <b>საქმიანობის შედეგები</b>                                              |   | <b>2022წ</b>    | <b>2021 წ</b>   |
|--------------------------------------------------------------------------|---|-----------------|-----------------|
| ამონაგები მომსახურების გაწევიდან                                         |   | 7173275         | 6317351         |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                |   | -609534         | -590829         |
| <u>საერთო მოგება</u>                                                     | - | <u>6563741</u>  | <u>5726522</u>  |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                               |   | 0               | 0               |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                 |   | -4310828        | -3675006        |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                               |   | -114875         | -64161          |
| საპროცენტო შემოსავალი                                                    |   | 0               | 0               |
| საპროცენტო ხარჯი                                                         |   | -21278          | -33853          |
| იჯარის ხარჯი                                                             |   | -257656         | -196774         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                 |   | -1092602        | -872413         |
| <u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>                                            | - | <u>-5797239</u> | <u>-4842207</u> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                 |   | <b>766502</b>   | <b>884315</b>   |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                  |   | 31201           | 84767           |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან |   | 797703          | 969082          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                |   | 0               | 0               |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</b>                            |   | <b>797703</b>   | <b>969082</b>   |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                      |   | 1739442         | 770360          |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                           |   | 2537145         | 1739442         |

დირექტორი  
მთ. ბუღალტერი

შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC  
2022 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების  
ანგარიშგება

(ლარში)

|                                  | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|----------------------------------|-----------------------|-------------------------|---------------------|
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>116,000.00</b>     | <b>1,623,442</b>        | <b>1,739,442</b>    |
| წმინდა მოგება                    |                       | 797703                  |                     |
| სხვა სრული შემოსავალი            | -                     |                         | -                   |
| <b>პერიოდის სრული შემოსავალი</b> | <b>-</b>              | <b>2,421,145</b>        | <b>2,421,145</b>    |
| გაცემული დივიდენდი               | -                     | 0                       | <b>0</b>            |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა         | 0                     | -                       | -                   |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>116,000.00</b>     | <b>2,421,145</b>        | <b>2,537,145</b>    |

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია 2007 13 მარტიდან დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202377178. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N42; კლინიკა ფუნქციონირებს ქ. თბილისი პეკინის ქ. #5-ში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები, კომპანია დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- 75.5% - პროფესორი ივანე კუზანოვი (პ/ნ 01030003950);
- 24.5% - ალექსანდრე კუზანოვი (პ/ნ 01030003391).

კომპანიის დირექტორია ავთანდილ ტულუში.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 116 000 ლარს.

2022 წლის წლის განმავლობაში კლინიკაში დასაქმებულთა პერსონალთა საშუალო რაოდენობამ შედგინა 65.

## ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

### მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2022 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2022 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2022 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3,0976 | 3,5040 |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,7020 | 2,8844 |

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაივლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

#### სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად,  
ხორციელდება ჩვეულებრივისაკრედიტოპირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტ  
იარერიცხება. იმ შემთხვევაში,  
როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს,  
მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა პროცენტოგანაკვე  
თის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა  
მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური  
მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების  
არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან  
ზარალში.

#### მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა  
და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს  
შემძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და  
დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა  
პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

#### ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.  
თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან  
დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე  
როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ  
დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული  
ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება  
ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო  
ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა  
შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

#### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი                             | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|-------------------------------------------------------|--------------------------------------|
| მიწა                                                  | უვადო                                |
| სამედიცინო აპარატურა და სამედიცინო დამხმარე ინვენტარი | 8                                    |
| ოფისის აღჭურვილობა                                    | 5                                    |
| სამედიცინო ინსტრუმენტი და დამხმარე სხვა ინვენტარი     | 4                                    |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა                   | 6                                    |
| არამატერიალური აქტივები                               | 0                                    |
| სატრანსპორტოსაშუალებები                               | 7                                    |

#### არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

#### აქტივების გადაფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი

ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

### **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

### **დაბეგვრა**

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

### **ამონაგების აღიარება**

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის

შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

### შენიშვნა1 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| ლარში                    | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|--------------------------|------------------------|---------------------|
| ფული სალაროში            | 5505                   | 46163               |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 714051                 | 339480              |
| <b>სულ ჯამი</b>          | <b>719556</b>          | <b>385643</b>       |

### შენიშვნა 2- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| ლარში                     | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|---------------------------|------------------------|---------------------|
| მოთხოვნები მომსახურებიდან | 146,911                | 139,574             |
| <b>სულ ჯამი</b>           | <b>146,911</b>         | <b>139,574</b>      |

**შენიშვნა 3 სხვა პირებზე ავანსებად  
და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები**

| ლარში                            | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|----------------------------------|------------------------|---------------------|
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 168194                 | 158524              |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 98136                  | 12840               |
| <b>სულ ჯამი</b>                  | <b>266,330</b>         | <b>171,364</b>      |

| შენიშვნა 4- ინფორმაცია                                                 |                                     |            |          |               |                                     |               |            |           |         |         |           |         |         |          |                           |           |         |          |         |
|------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|------------|----------|---------------|-------------------------------------|---------------|------------|-----------|---------|---------|-----------|---------|---------|----------|---------------------------|-----------|---------|----------|---------|
| შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC" ძირითადი საშუალების თაობაზე |                                     |            |          |               |                                     |               |            |           |         |         |           |         |         |          |                           |           |         |          |         |
| ინფორმაცია<br>ძირითად<br>საშუალებაზე                                   | 2022 წ. პერიოდის საწყისი მონაცემები |            |          |               | პერიოდში განხორციელებული ცვლილებები |               |            |           |         |         |           |         |         |          | პერიოდის ბოლოს მონაცემები |           |         |          |         |
|                                                                        |                                     |            |          |               | შემოსავალი                          |               | გასავალი   |           |         |         | ცვეთა     |         |         |          |                           |           |         |          |         |
|                                                                        |                                     |            |          |               | შესყიდვა                            | კაპიტალიზაცია | რეალიზაცია |           | სხვა    |         |           |         |         |          |                           |           |         |          |         |
| დასახელება                                                             | რაოდენობა                           | ლირებულ    | აკუმულირ | ნარჩენი ღირებ | რაოდენობა                           | ლირებულ       | კაპიტალი   | რაოდენობა | ლირებულ | ნარჩენი | რაოდენობა | ლირებულ | ნარჩენი | გაყიდვით | მიმდინარე                 | რაოდენობა | ლირებულ | აკუმულირ | ლირებულ |
| მიწა                                                                   |                                     | 633603.3   | 0        | 633603.25     |                                     |               | 0          |           |         |         |           |         |         |          |                           |           | 633603  | 0        | 633603  |
| სამედიცინო აპარატურა და სამედიცინო საშუალებები                         |                                     | 616680     | 189712   | 426968        |                                     | 121199        |            |           |         |         |           |         |         |          | 53113                     |           | 737879  | 242825   | 495054  |
| ოფისის აღჭურვილობა                                                     |                                     | 304511     | 76863    | 227648        |                                     | 64797         |            |           |         |         |           |         |         |          | 29508                     |           | 369308  | 106371   | 262937  |
| სამედიცინო ინსტრუმენტი და დამხმარე სხვა ინვენტარი                      |                                     | 52490      | 18774    | 33716         |                                     |               |            |           |         |         |           |         |         |          | 5732.2                    |           | 52490   | 24506.2  | 27983.8 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა                                    |                                     | 249615     | 114897   | 134718        |                                     |               |            |           |         |         |           |         |         |          | 21439                     |           | 249615  | 136336   | 113279  |
| არამატერიალური აქტივები                                                |                                     | 75000      | 0        | 75000         |                                     |               |            |           |         |         |           |         |         |          |                           |           | 75000   | 0        | 75000   |
| სატრანსპორტო საშუალებები                                               |                                     | 16785      | 4796.16  | 11988.84      |                                     |               |            |           |         |         |           |         |         |          | 2158                      |           | 16785   | 6954.16  | 9830.84 |
| შენიშნული ნაგებობა                                                     |                                     | 65000      |          | 65000         |                                     |               | 0          |           |         |         |           |         |         |          | 2925                      |           | 65000   | 2925     | 62075   |
| ჯამური მონაცემები                                                      |                                     | 2013684.25 | 405042   | 1608642.09    | 0                                   | 185996        | 0          | 0         | 0       | 0       | 0         | 0       | 0       | 0        | 114875                    | 0         | 2199680 | 519917   | 1679763 |

### **პირობითი ვალდებულება**

კომპანიის წინააღმდეგ სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;  
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

### **ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად  
დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი